ფონდი „სოხუმი“ FUND "SUKHUMI"

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების საჭიროებები და პრიორიტეტები და მათი ინტეგრირების მნიშვნელობა ადგილობრივ პოლიტიკაში

ივლისი
2021

სარჩევი

შესავალი 3

1. საჭიროებათა კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია 5

2. ადგილობრივი პროგრამების და სერვისების შესახებ ქალთა ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა 8

2.1. მოსახლეობის ინფორმირების ხარისხი და არხები 8

2.2. ინფორმაციისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის შემაფერხებელი ფაქტორები 12

3. კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული ძირითადი პრობლემები 15

3.1. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და დასაქმებისადმი ხელმისაწვდომობის პრობლემა 16

3.2. ჯანდაცვის მიმართულებით გამოვლენილი პრობლემები 21

4. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემა და მასზე რეაგირების ადგილობრივი პროგრამები 23

4.1. ახალგაზრდების პრიორიტეტები 27

4.2. შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სპეციფიკური პრობლემები 28

4.3. მუნიციპალურ პროგრამებში დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა საჭიროებების და პრიორიტეტების ინტეგრირების პრობლემა 30

5. მოწყვლად ჯგუფებზე ადგილობრივი პროგრამების ზეგავლენა 33

6. ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობა და ჩართულობა 34

7. დასკვნა და რეკომენდაციები 36

შესავალი

ადგილობრივ თვითმმართველობას, როგორც მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომ სახელისუფლებო შტოს, გენდერული თანასწორობის და ინკლუზიური/მონაწილეობითი დემოკრატიის მიღწევის საქმეში გადამწყვეტი როლი ეკისრება. მნიშვნელოვანია ასევე მუნიციპალიტეტების როლი კარგი მმართველობის დანერგვის საქმეში, რაც საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდას, მოსახლეობასა და საჯარო მოხელეებს შორის დემოკრატიული დიალოგის გამართვას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სპეციფიკური საჭიროებების მქონე მოწყვლადი ჯგუფების მაქსიმალურ ჩართულობას გულისხმობს.

ადგილობრივ თვითმმართველობებთან ფონდი „სოხუმის“ მრავალწლიანი თანამშრომლობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ბოლო წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გენდერული თანასწორობის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის გაუმჯობესების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა განხორციელდა. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება გენდერულად მგრძნობიარე ადგილობრივი პოლიტიკის სრულყოფილად დანერგვა, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების, განსაკუთრებით კი დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების ჩართვის სათანადოდ უზრუნველყოფა და მათ საჭიროებებზე მორგებული მუნიციპალური პროგრამების გატარება. აღნიშნულს მოწმობს ფონდი „სოხუმის“ მიერ 2020 წლის კონფლიქტის გამყოფ ზოლში ჩატარებული ქალებისა და გოგონების საჭიროებათა კვლევა, რომელშიც გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებით სუსტია მუნიციპალიტეტების მიერ კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა სპეციფიკური საჭიროებების შესწავლის და გენდერული ანალიზის პრაქტიკა და აღნიშნული საჭიროებების შესაბამის ადგილობრივ პროგრამებსა და ბიუჯეტებში ასახვა.[1]

წინამდებარე საჭიროებათა კვლევა ჩატარდა შვედეთის ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „Kvinna till Kvinna“-ს მიერ მხარდაჭერილი და ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული პროექტის - „ქალთა როლის გაძლიერება მდგრადი მშვიდობის და ნდობის აღდგენის პროცესში“ ფარგლებში, რომლის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების გაძლიერება, ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ქმედითი მონაწილეობის გაზრდა და ადგილობრივ პოლიტიკაში მათი ინტერესების გატარება „ქალების, მშვიდობასა და უსაფრთხოების“ დღის წესრიგის ადგილობრივ დონეზე ეფექტიანად გასატარებლად.

---

1 „COVID-19 კრიზისის გავლენის გენდერული განზომილება და პანდემიაზე რეაგირების ეფექტიანობა“, ფონდი „სოხუმი“, 2020 წლის დეკემბერი, გვ. 29,
ხელმისაწვდომია http://www.fsokhumi.ge/index.php/ka/archive-ka/publicatia

საჭიროებათა კვლევას აქტუალობას 2021 წლის მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც სძენს, რომლის დროსაც დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების სპეციფიკური საჭიროებები, როგორც წესი, პოლიტიკური სუბიექტების დღის წესრიგის მიღმა რჩება და ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ, ზოგადი ხასიათის პოლიტიკურ დაპირებებში იკარგება. საგულისხმოა, რომ მაშინ, როცა ქალებს გააჩნიათ საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ხედვები სოციალურ, ეკონომიკურ, ასევე ადგილობრივი პოლიტიკის მოწყობის საკითხებზე, მათი პრიორიტეტები ითქვიფება ზოგად პრობლემათა ნუსხაში, თავად კი მეტად ზრუნვის ობიექტებად განიხილებიან, ვიდრე პოლიტიკის შემოქმედად და აქტიურ მონაწილეებად.

პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში, ფაქტობრივად, არ არის ინტეგრირებული დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა სპეციფიკური საჭიროებები, ისევე როგორც თავად ქალები ვერ ახერხებენ პოლიტიკური სუბიექტებისთვის საკუთარი განსაკუთრებული საჭიროებებით და მოწყვლადობით ნაკარნახევი სოციალური დაკვეთის წარდგენას. ამ დროს კი ქალები არა მარტო ამომრჩეველთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ, არამედ მათ მხრებზე გადადის ადგილებზე გაუმართავი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურით და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის არასათანადო სოციალური მომსახურებით გამოწვეული პრობლემები.

ქალთა საჭიროებათა კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები წარედგინება ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, რაც ხელს შეუწყობს ქალებსა და ადგილობრივ პოლიტიკურ აქტორებს შორის სრულფასოვან წინასაარჩევნო კომუნიკაციას და დიალოგს და გააძლიერებს პოლიტიკური პარტიების მხრიდან საკუთარ ამომრჩეველთა საჭიროებებზე შესაბამის უკუკავშირს და ანგარიშვალდებულებას.

1. საჭიროებათა კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

ქალთა საჭიროებათა კვლევის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების გენდერული საჭიროებების შესწავლა და შეფასება და იდენტიფიცირებული პრობლემების ირგვლივ პოლიტიკური დიალოგის წარმართვა ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებთან. ეს ყოველივე მოკლევადიან პერსპექტივაში მოემსახურება ქალთა პრიორიტეტების და საჭიროებების ინტეგრირებას პარტიების პოლიტიკურ პროგრამებში, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში, ადგილობრივი პროგრამების ქალთა საჭიროებებზე მორგებას და ადგილობრივ პოლიტიკაში „ქალების, მშვიდობასა და უსაფრთხოების" დღის წესრიგის დანერგვას და გატარებას.

საჭიროებების კვლევის მეთოდოლოგია: საჭიროებათა კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. **რაოდენობრივი** კვლევისთვის შემუშავებულ იქნა სტრუქტურირებული კითხვარი/ანკეტა, რომელიც, ძირითადად, შედგებოდა დახურული შეკითხვებისგან. რესპონდენტებს ეძლეოდათ საშუალება, აერჩიათ პასუხის რამდენიმე ვარიანტი ან/და რიგ საკითხთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება. **თვისებრივი** კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ფოკუსირებული ჯგუფური დისკუსიის ტექნიკა და ჩაღრმავებული, ინდივიდუალური ინტერვიუ წინასწარ შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით.

კვლევის ადგილი და სამიზნე ჯგუფები - კვლევამ მოიცვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, კონფლიქტის გამყოფ ზოლში მდებარე **ექვსი სოფელი** (ორსანტია, კოკი, ხურჩა, კახათი, შამგონა, ინგირი) და **ქ. ზუგდიდი.** რაოდენობრივი კვლევისთვის რესპონდენტთა შერჩევა მოხდა მოქალაქეთა განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით და მასში, ძირითადად, მონაწილეობა მიიღეს დევნილმა და კონფლიქტით დაზარალებულმა ქალებმა და ახალგაზრდებმა. თვისებრივი კვლევის მეთოდით გამოიკითხნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, პროფესიული წრეების (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მეწარმეები, სამედიცინო მუშაკები და ა.შ.) წარმომადგენლები, სათემო ლიდერები და საზოგადოების აქტიური ქალები და მამაკაცები. **კვლევამ მთლიანობაში** მოიცვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები **299 ადამიანი**, აქედან 293 იყო ქალი, ხოლო 6 - მამაკაცი. **ანკეტირების გზით გამოიკითხა 268 ადამიანი** (ყველა ქალი), ხოლო **ფოკუს-ჯგუფების და ინდივიდუალური ინტერვიუს გზით - 31 პირი,** მათ შორის 25 ქალი და 6 მამაკაცი.

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა დემოგრაფიული და სოციალური მახასიათებლები:

კვლევაში მონაწილე გამოკითხულთა ასაკი მერყეობდა 18-დან 65 წლის ზევით, რაც შემდეგნაირად განაწილდა: 18-30 წლამდე - **18.3%;** 31-45 წლამდე - **34.7%;** 46-65 წლამდე - **35.4%,** ხოლო 65 წლის ზევით - **11.6% (იხ. დიაგრამა №1).**



დიაგრამა №1

გამოკითხვაში მონაწილე დევნილთა და ადგილობრივთა რაოდენობა კვლევაში თანაბრად განაწილდა, კერძოდ კი ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო 50%-მა (134) - დევნილმა და 50%-მა (134) - ადგილობრივმა. ადგილობრივთაგან 53%-ს საქართველოს მიერ კონტროლირებად კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრები, კონფლიქტით დაზარალებული ქალები წარმოადგენდნენ. სოციალური სტატუსის მიხედვით, გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან სოციალურად დაუცველ ჯგუფს წარმოადგენდა 27,6%; მარტოხელა დედას - 11,2%; მრავალშვილიან დედას - 6,3%, შშმ პირს - 3.4%.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ქალების უმრავლესობა ქ. ზუგდიდიდან იყო - 45% (118 ქალი, რომელთაგან 51% იყო დევნილი), ხოლო დანარჩენი - 55% (150 ქალი) კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას წარმოადგენდა (რესპონდენტთა ადგილმდებარეობა დეტალურად იხილეთ **დიაგრამა №2):**



დიაგრამა №2

დასაქმების მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობა უმუშევარია - 38,1%; სახელმწიფოს მიერ დასაქმებულია 24.3%; სასოფლო-სამეურნეო საქმით დაკავებულია 12,7%. თვითდასაქმებული/კერძო ბიზნესში ჩართული პირია 10,1% (დეტალურად იხ. **დიაგრამა №3).**



დიაგრამა №3

კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობისთვის ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროს პენსია წარმოადგენს (34,3%,). ქალების მესამედი ძირითად შემოსავლად ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების (31.3.%) და დევნილთა (29.1%) შემწეობებს ასახელებს. სახელფასო ანაზღაურებას უთითებს 32,5%, ანუ 268 გამოკითხულიდან 87 ადამიანი **(დეტალურად იხ. დიაგრამა №4**). საგულისხმოა, რომ მათგან, ვინც შემოსავლის ძირითად წყაროდ სახელფასო ანაზღაურებას უსვამს ხაზს (87 ადამიანი), უმრავლესობა (65 პირი), პასუხებში გარდა ხელფასისა, შემოსავლის სხვა, დამატებით წყაროსაც გამოყოფს, მაგ., პენსია, ახლობლების დახმარება, ფულადი გზავნილი საზღვარგარეთიდან, დევნილთა შემწეობა. ეს კი მკაფიოდ მიუთითებს, რომ არსებული სახელფასო ანაზღაურება საკმაოდ დაბალია და ოჯახების რჩენისთვის არასაკმარისი, რაც სხვა დამატებითი ფულადი რესურსის მობილიზებას მოითხოვს მოქალაქისგან. ასევე აღსანიშნავია, რომ სახელფასო ანაზღაურების მქონე პირთა ძირითადი ნაწილი ადგილობრივია (87ქალიდან 59 ადგილობრივია), რაც მიუთითებს დევნილ ქალთა უფრო ნაკლებ ხელმისაწვდომობას ანაზღაურებადი თანამდებობებისადმი.



დიაგრამა №4

2. ადგილობრივი პროგრამების და სერვისების შესახებ ქალთა ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა

2.1. მოსახლეობის ინფორმირების ხარისხი და არხები

ინფორმაციას მუნიციპალურ პროგრამებსა და ადგილობრივ დონეზე მიმდინარე პროცესებზე ქალების უმრავლესობა მხოლოდ ნაწილობრივ ფლობს - 52,3%. სრულად ინფორმირებულია 31,7%, ხოლო ადგილობრივ პროგრამებზე ინფორმაცია არ გააჩნია გამოკითხულთა 16%-ს. მონაცემების ჩაღრმავებით ირკვევა, რომ არაინფორმირებულ ქალთა წილი სოფლებში ორჯერ უფრო მეტია (21%), ვიდრე ქალაქში (9%).

ადგილობრივ პროგრამებზე **ინფორმაციის პირველწყაროს** მოსახლეობის უმრავლესობისთვის „ტელევიზია და რადიო“ (54,9%) და „მეზობლები და ნაცნობები“ (44,3%) წარმოადგენენ. ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით საკმაოდ მაღალია არასამთავრობო ორგანიზაციების (43,3%), მუნიციპალური სოციალური ქსელების (31%) და ონლაინ მედიასაშუალებების (35,4%) როლიც. ინფორმაციის მიღების ძირითად არხად ნაკლებად იყვნენ აღნიშნულნი ადგილობრივი დეპუტატები (29,1%) და მერის წარმომადგენლები სოფლებში (21,3%) **(იხ. დიაგრამა №5).**



დიაგრამა №5

ზუგდიდის ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თანახმად, მოსახლეობის ინფორმირება თვითმმართველობის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, რასაც მოწმობს **ადგილობრივი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებული** საკმაოდ მრავალფეროვანი და მწყობრი სისტემა, მათ შორისაა:

- **სოფლებში მერის წარმომადგენლების და დეპუტატების ინფორმირება**. საკრებულოს მიერ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების დამტკიცებისთანავე სოფლის წარმომადგენლებთან და დეპუტატებთან გაფართოებული შეხვედრების გამართვა, სადაც მათ ბეჭდური და ელექტრონული სახით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია ადგილობრივი პროგრამების სახეობისა და განხორციელების ეტაპების შესახებ. აღნიშნული შეხვედრა მიზნად ისახავს სოფლებში მერის წარმომადგენლების მხრიდან ადგილობრივი სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებას და საჭიროებისამებრ მათ კონსულტირებას;
- **მერიის ბეჭდური გაზეთი და საინფორმაციო ბუკლეტები**, რომლებშიც ასახულია ადგილობრივ დონეზე არსებული ყველა სოციალური თუ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა. გაზეთი ფართოდ ვრცელდება საზოგადოებაში, ხოლო ბუკლეტები ურიგდებათ მერიაში მოსულ მოქალაქეებს;
- **მოძრავი/მობილური ჯგუფების მიერ სოფლის მოსახლეობასთან კარდაკარ შეხვედრები** (განსაკუთრებით გამოიყენებოდა პანდემიის აქტიური ფაზის პერიოდში). შეხვედრებისას ხდებოდა მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი პროგრამების შესახებ და მათთვის საინტერესო ყველა შეკითხვაზე ახსნა-განმარტების მიწოდება. შეხვედრები ასევე ემსახურებოდა ადგილზე მცხოვრები მოქალაქეების საჭიროებების და პრიორიტეტების შესწავლას;
- **ადგილობრივი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და ფეისბუქგვერდზე განთავსება.** მუნიციპალიტეტში მოქმედებს ვებგვერდი, სადაც ელექტრონული სახით განთავსებულია ადგილობრივი პროგრამები. აღნიშნულმა რესურსმა განსაკუთრებული როლი ითამაშა კოვიდის გავრცელების პერიოდში, როცა ხდებოდა ინფორმაციის ელექტრონულად განთავსება და მოქალაქეებისგან განცხადებების მიღება;
- **„ღია ფანჯრის“ პრინციპით მოსახლეობის კონსულტირება,** რომლის დროსაც მერიის პირველ სართულზე კონსულტანტის მიერ ხდება მოსახლეობის დეტალური კონსულტირება თვითმმართველობაში არსებული ყველა პროგრამის შესახებ, თუ რომელ კონკრეტულ უწყებას უნდა მიმართოს პირმა პროგრამით დაინტერესების შემთხვევაში და რა სახის დოკუმენტები უნდა წარადგინოს ამა თუ იმ პროგრამით სარგებლობისთვის;
- **არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა -** არასამთავრობო ორგანიზაციებთან პერიოდული შეხვედრების მოწყობის გზით, თვითმმართველობა ავრცელებს ინფორმაციას ადგილზე მოქმედი სოციალური პროგრამების შესახებ, რაც შემდგომ აქტიურად ზიარდება მოსახლეობაში, განსაკუთრებით საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებში;

- **სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა და მოსახლეობის ინფორმირება.**

საგულისხმოა, რომ **არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობადობა განასაკუთრებით მაღალია** კონფლიქტის გამყოფი ზოლის სოფლებში, **რომლებიც მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების ძირითად გამტარ არხად განიხილებიან**. რაოდენობრივი კვლევის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, ადგილობრივი პროგრამების შესახებ ინფორმაციას კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა 49% იღებს, ხოლო ქალაქ ზუგდიდში - 34%, რაც ცხადყოფს მესამე სექტორის საკმაოდ აქტიურ მუშაობას ქალაქებს მოშორებულ სოფლებსა და კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან -

> ***„ჩემი ინფორმაციის წყარო ყოველთვის არის არასამთავრობო ორგანიზაციები... მათთან შეხვედრებზე ყოველთვის განიხილება საჭირბოროტო საკითხები, ხოლო მოწოდებული ინფორმაცია, სოციალურ პრობლემებზე და პროგრამებზეა“ (ი.ხ., ადგილობრივი, ქალი, 64 წ., ასოციაცია „ბჟალარა“, ქ. ზუგდიდი).***

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები აღნიშნავენ: მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი დეპუტატები და სოფლებში მერის წარმომადგენლები ***„მოსახლეობასა და თვითმმართველობას შორის ინფორმაციის გამტარნი და ხალხსა და ხელისუფლებას შორის შუამავალნი უნდა იყვნენ“***, ეს **კომუნიკაცია საკმაოდ სუსტი და არასაკმარისია** -

> ***„სოფლის წარმომადგენელი, რომელიც ყველაზე კარგად უნდა იცნობდეს მოსახლეობას, რომელიც უნდა იყოს დამაკავშირებელი ხიდი მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტს შორის - მასთან ხშირი და სწორი კომუნიკაცია არ გვაქვს, ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა“ (რ.მ., იგპ კაცი, 21 წ., სტუდენტი, ქ. ზუგდიდი).***

აღნიშნულს მოწმობს რაოდენობრივი მონაცემებიც, რომელთა თანახმად, **ინფორმაციის პირველწყაროდ სოფელში მერის წარმომადგენლებს** გამოკითხულთა **შეზღუდული რაოდენობა უთითებს:** სოფელ კახათში მცხოვრები - 29%, კოკში - 25%, შამგონაში - 23%, ინგირში - 0%. შედარებით მაღალი მაჩვენებელია სოფელ ორსანტიასა (53%) და ხურჩაში (45%).

მოსახლეობაში ადგილობრივი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს **სათემო ლიდერები,** დევნილთა დასახლებებში არსებული ამხანაგობების თუ სათემო ორგანიზაციების წევრები წარმოადგენენ, რომლებიც საკუთარი ინიციატივით იძიებენ ინფორმაციას სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორიდან და ავრცელებენ თემში -

> ***„მაგალითად, მე ვარ თვითონ მობილიზატორი და ახალ ამბებს ვაწვდი თემს, ვგებულობ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იქნება ეს თუ სახელმწიფო სტრუქტურებიდან, რაც სიახლეა, ყველაფერი ჩემს თემში ხელმისაწვდომია“ (მ.გ., ადგილობრივი ქალი, 50 წ., სსო ხელმძღვანელი, სკოლის პედაგოგი, სოფ. ინგირი).***

„მე ვარ ადგილობრივი, ჩვენთან ცხოვრობენ დევნილები... გეტყვით, რომ სოფლის რწმუნებულები და თემის წარმომადგენლები არანაირ ინფორმაციას არ აწვდიან მოსახლეობას. როცა ბიუჯეტის განხილვაზე ვიყავი, ჩემს მეზობელს მარშუტკაშიც კი მე ვაძლევდი ინფორმაციას... ამას ჩემი სურვილით ვაკეთებ, მაგრამ ყველასთან ხომ არ მაქვს წვდომა. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ მერიის წარმომადგენლები, ვინც არიან რწმუნებულები, სოფლებში უნდა აძლევდნენ ინფორმაციას. შეიძლება ყველამ არ იაქტიუროს, მაგრამ არიან ისეთები, რომლებიც მშვენივრად გამოიყენებენ დახმარებას და შესაძლებლობებს“ (ი.ა., ადგილობრივი, ქალი, 50 წ., უმუშევარი, სოფ. ჭკადუაში).

საგულისხმოა, რომ კვლევაში მონაწილე ქალთა ინფორმირებულობა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამებზეც (სოფლის მეურნეობის განვითარების, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის) **საკმაოდ არადამაკმაყოფილებელია.** ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების შესახებ არ გააჩნია რესპონდენტთა მესამედს - 32,8%. მონაცემების ჩაღრმავებული ანალიზის თანახმად, მათგან, ვინც მიუთითა, რომ სახელმწიფო პროგრამების შესახებ **ინფორმაციას არ ფლობს, უმრავლესობა კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრები ქალია - 72.9%.**

გამოკითხული ქალებისთვის ყველაზე კარგად ცნობილი პროგრამებია - „აწარმოე საქართველოში“ – 44% და საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამები - 31%. საკმაოდ დაბალია ქალების ინფორმირებულობა დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ - 22.4% (დეტალურად **იხ. დიაგრამა №6).**



დიაგრამა №6

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალურ დონეზე ინფორმირების არაერთი არხია ამოქმედებული, კვლევა ცხადყოფს, რომ მოსახლეობის **ხელმისაწვდომობა ინფორმაციამდე არასაკმარისია, რაც გარკვეული ობიექტური ფაქტორებით არის განპირობებული.**

2.2. ინფორმაციისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის შემაფერხებელი ფაქტორები

რაოდენობრივი კვლევის თანახმად, ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის შემაფერხებელი რამდენიმე **ფაქტორი გამოიკვეთა:** ადგილობრივ თვითმმართველობასთან არასაკმარისი კომუნიკაცია (56.3%), მოსახლეობის მხრიდან პროგრამებით დაუინტერესებლობა (19%) და ინტერნეტისადმი შეზღუდული წვდომა (18.7%).

თვისებრივი კვლევა ადასტურებს თვითმმართველობის წარმომადგენლების მხრიდან **შეხვედრების სიმცირეს, როგორც მათში ჩართული და მონაწილე ადამიანების, ასევე თავად შეხვედრების ლიმიტირებული რაოდენობის თვალსაზრისით.** რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანია თვითმმართველობის მხრიდან მოსახლეობის კარდაკარ ინფორმირების ხშირი პრაქტიკის დანერგვა და მოსახლეობის უფრო ფართო სპექტრის ჩართვა შეხვედრებში -

> ***„არ ფლობენ ქალები და მოსახლეობის უმეტესობა ინფორმაციას. სოფლის რწმუნებულების, მერიის წარმომადგენლების თუ დეპუტატების შეხვედრებზე გარკვეული ტიპის აქტივი მოდის და 50-100 კაცამდე შეხვედრაა. კარდაკარ უნდა იარო, ყოველდღე უნდა ესაუბრო სიახლეებზე, ახალ პროექტებზე... წელიწადში ორჯერ არ ყოფნის ეს შეხვედრები" (თ.ქ., ქალი, 34 წ., დევნილი, ქ. ზუგდიდი).***

> ***„ძირითადად, ერთი და იგივე ხალხთან ხდება ხოლმე ყველაფერი... სოციალური დახმარებები არის ერთი და იგივე ხალხთან, ინფორმაცია არის ერთი და იგივე ხალხთან, ტრენინგებზე დადიან ერთი და იგივე ადამიანები" (ი.ბ., მამაკაცი, სტუდენტი, ადგილობრივი, 20 წ., ქ. ზუგდიდი).***

საუბრისას ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების, **კონსულტირების და გადამზადების კარგ პრაქტიკაზე,** როცა წინასწარ არის განსაზღვრული შეხვედრების დღეებიც და დღის წესრიგი, რომლის დროსაც მოსახლეობას შეუძლია წინასწარ დაგეგმოს შეხვედრებში მონაწილეობის დრო და მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია -

> ***„სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონალური სამსახურები ყოველ კვირას, ოთხშაბათს და პარასკევს ატარებენ შეხვედრებს. ოთხშაბათს არის კარდაკარის დღე, დადიან ყველა სოფელში და აწვდიან ინფორმაციებს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროექტებზე... პარასკევობით ატარებენ ტრენინგებს... ნებისმიერ ოჯახს შეუძლია მონაწილეობის მიღება მისთვის სასურველ თემაზე... აი, ახლა საგაზაფხულო სამუშაოებზე უტარდებათ ტრენინგები და იქ კითხვის დასმის შემთხვევაში პასუხობენ ნებისმიერ კითხვას." (ი.ჯ., ადგილობრივი, ქალი, 60 წ., დასაქმებული, ზუგდიდი).***

რესპონდენტების თქმით, პრობლემას იმდენად ინფორმაციის მიწოდება კი არ წარმოადგენს, რამდენადაც მოსახლეობის დაინტერესება კონკრეტული პროგრამით. მი-

უხედავად იმისა, რომ ინფორმირების მიზნით მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია, ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ან ურიგდება გაზეთი თუ საინფორმაციო ბუკლეტი, მნიშვნელოვანია **მოსახლეობის დაინტერესება და მომზადება პროგრამებში ჩასართავად -**

> *„ვიღაც მაინც გაატარებს იმ სმს-ს და დიდ ყურადღებას არ მიაქცევს. უფრო მომგებიანი და უფრო წარმატებული იქნება ის, რომ ყველასთან მივიდნენ ინდივიდუალურად, გაესაუბრონ, აუხსნან და, შესაბამისად, მოხდეს მათი ინფორმირებულობა... და როცა მეტი ინფორმაცია ექნებათ, მაშინ კი შეუძლიათ უთხრან: - „აი, იცი შენ სმს მოგივა და მზად უნდა იყო სმს-ის მისაღებად და წასაკითხად და ინფორმაციის გასაცნობად“, მაშინ მეტი ყურადღება და ინტერესი იქნება“. (ი.ბ., კაცი, 20 წ., სტუდენტი, დევნილი, ზუგდიდი).*

მოსახლეობის ინდიფერენტულობა და ნაკლები მიმღებლობა მიწოდებული ინფორმაციის მიმართ ასევე დასახელდა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი ინფორმაციის მიზნობრივ ჯგუფამდე მიტანის თვალსაზრისით. აღინიშნა, რომ ქალები იმდენად ბევრ ყოფით პრობლემას უპირისპირდებიან ცხოვრებაში, რომ არც იჩენენ ინტერესს თუნდაც მათთვის სასარგებლო ინფორმაციის მიმართ, ხშირია მათი მხრიდან **უნდობლობა და ნიჰილიზმიც -**

> *„ინდიფერენტულობის ძალიან მაღალი მაჩვენებელია ხალხში... ბევრი მიზეზია საიმისოდ, რომ ისინი არიან ინერტულები. ვერ მოგყვებიან რაღაცებში... არ სჯერათ რაღაცების და, შესაბამისად, რომც შესთავაზო, ძალიან ძნელია, რომ მიიღონ ინფორმაცია და გამოიყენონ... პირველ რიგში, საყოფაცხოვრებო პირობებით რომ დავიწყოთ, ძალიან რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება და უკვე რთულია მათთვის სხვა რაღაცებზე ფიქრი... დამაჯერებლობა და სანდოობა არ აქვს ხოლმე გარკვეულ პროექტებს და რთულია მათი დაინტერესება ამ მიმართულებით“ (მ.ჯ., იგპ ქალი, 31 წ., სსო წარმომადგენელი, ქ. ზუგდიდი).*

ინტერნეტისადმი შეზღუდული წვდომა ასევე დასახელდა ინფორმაციის მიღების ხელის შემშლელ ფაქტორთა შორის. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის უცნობია მუნიციპალიტეტში დანერგილი ელექტრონული მომსახურების სისტემა, რაც დიდწილად განპირობებულია კონფლიქტის გამყოფ ზოლში მდებარე სოფლებში ინტერნეტის შეზღუდული დაფარვით და სუსტი სიგნალით და **ტექნოლოგიური მოწყობილობების და ელექტრონული მომსახურების სისტემების გამოყენების სუსტი უნარ-ჩვევებით.** რესპონდენტები ხაზს უსვამენ ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების გაძლიერების და ელექტრონული მომსახურების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების აუცილებლობას. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ **ელექტრონული მომსახურება საკმაოდ რთული ფორმით არის შეთავაზებული** მოსახლეობისთვის, რაც საგრძნობ გამარტივებას და გამოსაყენებლად მოსახერხებელ ფორმატში ადაპტირებას მოითხოვს -

„ყველა ოჯახს არა აქვს წვდომა ინტერნეტთან, ე.ი. არაა უზრუნველყოფილი ყველა სოფლის ინტერნეტიზაცია... არის ელექტრონული სერვისები, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ სარგებლობს ამ პროგრამებით. ეს განსაკუთრებით ეხება მოწყვლად ჯგუფებს, მათ არ იციან ელექტრონული სერვისების გამოყენება. სწორედ ასეთ კატეგორიას სჭირდება სწავლება ამ ტექნოლოგიების გამოსაყენებლად, ამიტომ შეიძლება ტრენინგების ჩატარება მოწყვლად ჯგუფებთან, სადაც დაეუფლებიან ინტერნეტის გამოყენების უნარ-ჩვევებს“ (ი.ჯ., ადგილობრივი, კაცი, 27 წ., ახალგაზრდული მუშაკი).

„პროგრამები მერიასაც უდევს თავის გვერდზე, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მერიის თანამშრომელი ვიყავი სამი წლის განმავლობაში, პირდაპირ მეც მიჭირს ხოლმე გარკვევა... რამდენიმე „ველზე“ უნდა გადახვიდე, მერე უნდა ეძიო ინფორმაცია... ანუ მარტივად ვერ იპოვი, ვინც არ იცის, მისთვის მით უმეტეს ძნელია“ (ი.ჯ., ადგილობრივი, კაცი, 27 წ., ახალგაზრდული მუშაკი, სოფ. კახათი).

კვლევის შედეგებით იკვეთება, რომ ახალგაზრდები ინფორმაციის მისაღებად უპირატესობას ანიჭებენ **სოციალურ ქსელებს** -

„მე 23 წლის ვარ და ინფორმაციის მიღება დღეს ძალიან ადვილია, თუ ის ვრცელდება სოციალურ მედიაში... ჩვენი თაობა ჩაფლულია სოციალურ ქსელებში“ (გ.ჯ., 23 წ., ადგილობრივი ახალგაზრდა, კაცი, უმუშევარი, სოფ. რიყე).

თუმცა მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილისთვის ინფორმაციის მიღების ყველაზე მისაღებ ფორმად კვლავ რჩება ადგილობრივ მოხელეებთან უშუალო შეხვედრები, ინფორმაციის მიღება საინფორმაციო ბროშურების და გაზეთების საშუალებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისთვის დიფერენცირებული მეთოდების გამოყენება სამიზნე აუდიტორიის ადგილმდებარეობის, ასაკის და ელექტრონული სერვისების გამოყენების უნარების გათვალისწინებით.

„ოცდამეერთე საუკუნეს ვეძახით ციფრულ სამყაროს, თუმცა ძალიან უჭირთ ამ მხრივ როგორც დევნილ ქალებს, ასევე მასპინძელ თემსაც, ასაკობრივ კატეგორიას კი განსაკუთრებით უჭირს თანამედროვე ტექნოლოგიებთან კომუნიკაცია... ინტერნეტთან წვდომის ამბებიც შეზღუდული აქვთ, განსაკუთრებით, დევნილებს. შესაბამისად, მე ვთვლი, რომ დევნილებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ელექტრონულ სისტემებზე და აქედან ინფორმაცია მათთვის ნაკლებად იქნება მისაღები და ალბათ უშუალოდ, აი, რწმუნებულები იქნება, თუ ბროშურები იქნება და ასე შემდეგ უფრო (გზამკვლევები) იქნება მათთვის მისაღები, ვიდრე ესე ელექტრონულად ინფორმაციის გაზიარება“ (მ.ჭ., იგპ ქალი, 31 წ., სსო წარმომადგენელი, ქ. ზუგდიდი).

3. კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული ძირითადი პრობლემები

საჭიროებათა კვლევის პროცესში რესპონდენტებმა გამოკვეთეს მათ თემში მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი კატეგორია, რომელიც Covid-19 პანდემიის ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით ყველაზე მეტად საჭიროებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერას. მათ შორის დასახელდნენ: მრავალშვილიანი ოჯახები - 57.8%, უმწეო ხანდაზმულები - 56.7%, შშმ პირები - 51.5%, სოციალურად დაუცველები - 51.9% და ოჯახები, რომელთაც დაკარგეს შემოსავალი პანდემიის პერიოდში - 41.4% (დეტალურად იხილეთ **დიაგრამა №7).**



დიაგრამა №7

რაოდენობრივი კვლევის მონაცემების თანახმად, დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის თემში პრიორიტეტულ და პრობლემურ საკითხთა შორისაა: **სოფლებში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების არარსებობა** (სალონი, სამკერვალო, და ა.შ.) - 51.1%, **მოუწესრიგებელი სოფლის შიდა გზები** - 42.9%, **სანიაღვრე არხების გაუმართაობა** და არარსებობა - 34%, **წყლის გაყვანილობის სისტემის არარსებობა** და **სასმელი წყლის**

არადამაკმაყოფილებელი ხარისხი - 25.7%, **გარე განათებების გაუმართაობა** - 25%, **ფეხით მოსიარულეთათვის ბორდიურების და ტროტუარების მოუწესრიგებლობა** - 24.3% (დეტალური ჩამონათვალი იხილეთ **დიაგრამა №8).**



დიაგრამა №8

3.1. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და დასაქმებისადმი ხელმისაწვდომობის პრობლემა

საჭიროებების კვლევის პროცესში საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა დასაქმებისადმი დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების ხელმისაწვდომობის პრობლემა, რაც, მათი აზრით, უამრავი ხელის შემშლელი ფაქტორით არის განპირობებული.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმებისთვის ერთ-ერთი წინაღობა, რესპონდენტების აზრით, **გენდერული სტერეოტიპები** და საზოგადოებაში ჯერაც მყარად დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომლის მიხედვით, ქალების უპირველეს მოვალეობას ოჯახზე და შვილებზე ზრუნვა წარმოადგენს. გამოიკვეთა შრომით ბაზარზე არსებული სოციალური უთანასწორობაც, როდესაც ქალებს დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, რადგან ყოველთვის ვერ უთავსებენ ბავშვების მოვლის პასუხისმგებლობას სამუშაო გრაფიკს. ასევე აღინიშნა დამსაქმებლის მხრიდან ქალების დასაქმების ნაკლები მოტივაცია, მათთვის განვითარების ნაკლების შესაძლებლობების შექმნა და არათანაბარი ანაზღაურების შეთავაზება მამაკაცებთან შედარებით -

„თუ დაოჯახებულია და გათხოვილია ქალი, ოჯახია პირველ რიგში... სახლიდან ვერ გადის, იმიტომ რომ ბავშვები ჰყავს მოსავლელი და ვერ ტოვებს ბავშვებს. კიდევ ოჯახური მდგომარეობა, სხვა პრობლემები... თუ გავიდა სახლიდან - სხვანაირად შეხედავს საზოგადოება, ასე ჰგონიათ“ (ე.ხ., ქალი, 39 წ., დაუსაქმებელი, ზუგდიდი).

„მე ვფიქრობ, რომ ქალი უფრო დაჩაგრულია, ვიდრე კაცი, კაცს უფრო მეტი გასაქანი აქვს ამ საზოგადოებაში, ვიდრე ქალს. ქალსაც შეუძლია აკეთოს ის, რასაც კაცი აკეთებს, მაგრამ შეზღუდულია, რადგან დამსაქმებელი ყოველთვის ცდილობს, აიყვანოს კაცი, ვიდრე ქალი, როცა ასარჩევადაა. ზოგ შემთხვევაში კაცს უფრო მეტი ხელფასი აქვს, მაგალითად, ვიდრე ქალს, ერთსა და იმავე საქმეში...“ (ე.ხ., იგპ ქალი, 39 წ., უმუშევარი).

კვლევისას გამოვლინდა, რომ საზოგადოების და მათ შორის თავად მამაკაცების მხრიდან ეკონომიკურად ძლიერი ქალების აღქმაც არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, **ქალის ეკონომიკურ გაძლიერებას საფრთხედ აფასებენ,** რამაც შესაძლოა შეარყიოს მამაკაცის დომინანტური იერარქია ოჯახის შიგნით. ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნავენ, რომ **ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას თავად ქალთა მხრიდან მეტი გამბედაობა და ამ საჭიროების წარმოჩენა სჭირდება -**

„სტერეოტიპებიც ხშირ შემთხვევაში ქალთა ეკონომიურ გაძლიერებას უშლის ხელს... მაგალითად, ზოგიერთი საფრთხედ აღიქვამს, რომ ქალმა ფინანსური დამოუკიდებლობა მოიპოვა, ამ შემთხვევაში ის სხვა რიტორიკით დაიწყებს საუბარს“ (ი.ჯ., ადგილობრივი, კაცი, 27 წ., ახალგაზრდული მუშაკი).

„არის სტერეოტიპები და სტიგმები, რომლებიც ჩვენ თვითონ შევქმენით და ყველაზე ცუდი ის არის, რომ ქალები იბრძვიან, მაგრამ ისე არა, როგორც საჭიროა... ერთეულები კი, მაგრამ მთლიანობაში ბოლომდე არ არიან ჩართულები, თორემ მათ შეუძლიათ, დღეს იყვნენ გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე არიან. კაცი არასდროს არ გეტყვის, მოდი, შენ იყავი უფროსი, მოდი, შენ იყავი ფინანსურად დამოუკიდებელი, ანუ ეს აუცილებლობა და საჭიროება ქალმა უნდა დაანახოს“ (რ.მ., იგპ კაცი, 21 წ., სტუდენტი).

კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა **სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა** მონაწილეობის ხელის შემშლელ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორსა და ბარიერზე. კვლევის თანახმად, ქალთა მხრიდან ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისგან თავის შეკავება ხშირად განპირობებულია **სოციალური სტატუსის დაკარგვის შიშით.** არაპროგნოზირებადი ბიზნეს გარემოს პირობებში, ეკონომიკურ პროგრამაში ჩართვისთანავე სოციალური დაცვის გარანტიის შეწყვეტა საკმაოდ აქვეითებს აღნიშნულ პროგრამებში ქალების მონაწილეობის მოტივაციას. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ პრობლემას **პროგრამებში სიღრმისეული გარკვევა და მათში ჩართვის სურვილის გაჩენა წარმოადგენს,** რაც მოითხოვს ქალებისთვის უწყვეტი კონსულტაციების გაწევას, კონკურსის პირობების და

სარგებლიანობის დეტალურად ახსნას, საკონკურსო განაცხადების შევსებაში პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას -

> *„დევნილი თუ ადგილობრივი, არ აქვს მნიშვნელობა, თუ დამოკიდებულია სოციალურ სტატუსზე, ძალიან ბევრი თავს იკავებს, სამუშაოს მოძებნისგან, თუნდაც გრანტების მიღებისგან, იმიტომ რომ ის ელემენტარული სოციალური, რომელიც ყოველთვიურად გარანტირებულად ერიცხებათ, ეგ ურჩევნიათ... „აწარმოე საქართველოში“ როცა ვმუშაობდი, საბოლოო ეტაპამდე მივედით და 15 ათასით ვაფინანსებდით, მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე ვაფრთხილებდით, რომ სოციალური შეუწყდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეს 15 ათასი დაერიცხებოდა, როცა გავიდა პროექტი, საბოლოო ჯამში გვითხრა უარი, იმიტომ რომ მე სოციალური მომეხსნებაო... ძალიან ბევრია სამუშაო, რომ გაზარდო ადამიანების ცნობიერება, უნდა აუხსნა, ის 15 ათასი ლარი როგორ შეიძლება აბრუნო, რამდენი შემოსავალი შეიძლება მისგან მიიღო, ანუ რა სარგებელი შეიძლება მისთვის ამ პროექტს ჰქონდეს, ეს ყველაფერი უნდა ვანახოთ ქალებს“ (მ.ჯ., იგპ ქალი, 31 წ., სსო წარმომადგენელი).*

მნიშვნელოვან წინაღობად დასახელდა პროგრამაში ჩასართავად შეზღუდული **კრიტერიუმები**, მათ შორის ასაკობრივი ცენზი კონკურსში მონაწილეობისთვის, ასევე განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფთან (შშმ, სოციალურად დაუცველის ან ძალადობის მსხვერპლის სტატუსი და ა.შ.) კუთვნილების მოთხოვნა, რაც, რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვნად ზღუდავს ბევრი დაინტერესებული ქალის მონაწილეობას ეკონომიკურ პროგრამებში.

ქალებისთვის ეკონომიკური პროგრამით სარგებლობისას დიდ ბარიერს წარმოადგენს **მიწის ნაკვეთის ფლობის კრიტერიუმი**, განსაკუთრებით დევნილებისთვის, რომელთა დიდ ნაწილის მიწა საკუთრებაში არ გააჩნიათ. ასევე ქალებისთვის ზოგადად, რომლებიც გაცილებით უფრო იშვიათად წარმოადგენენ მიწის აქტივის მესაკუთრეს, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც გენდერული უთანასწორობა ყველაზე მეტადაა გამოხატული -

> *„ქალებისთვის სერიოზულ წინაღობად იქცევა ის, რომ მფლობელობაში არ აქვთ მიწა, ეს პრობლემა განსაკუთრებით ეხება დევნილ ქალებს, რომლებიც მიწის მესაკუთრეები არ არიან. ამის გამო მათ გრანტის მოპოვების შესაძლებლობაც აქვთ გაცილებით ნაკლები. როდესაც სხვის სახელზე გაფორმებულ მიწას უჩვენებ, მეუღლე იყოს ეს თუ მამამთილი, არ აქვს მნიშვნელობა, რთულია მოიპოვო დაფინანსება“ (ი.ჯ., ადგილობრივი, კაცი, 27 წ., ახალგაზრდული მუშაკი).*

ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა ასევე **გრანტის მოსაპოვებლად ქალაქში ორგანიზებული მოსამზადებელი კურსები**. რესპონდენტების თქმით, მგზავრობაში დახარჯული დრო და ტრანსპორტირების ხარჯები ხშირად ხელს უშლის ქალებს პროგრამაში ჩართვაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კონფლიქტის გამყოფ ზოლში მდებარე სოფლებში მცხოვრები ქალებისთვის მათ შესაძლებლობებზე მორგებული პროგრამების შეთავაზება და ამ პროგრამებამდე ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გაზრდა -

„შეიძლება ზუგდიდში იყოს მოსამზადებელი კურსები... მაგრამ ეს მოითხოვს ფინანსებს, რის გამოც მგზავრობასაც ვერ ახერხებენ და კიდევ ცალკე ტრანსპორტირების დრო... შეიძლება ერთი საათი იჯდეს და ისწავლოს... მერე წასვლისას ორი საათი გზაში დახარჯოს - ჯერ ტრანსპორტის ლოდინი და მერე წასვლა“ (თ.ქ., ადგილობრივი, ქალი, 47 წ., თემის მობილიზატორი, სოფ. განმუხური).

თვისებრივი მონაცემებით ასევე გამოიკვეთა ეკონომიკური პროგრამების მიმართ უნდობლობა და უიმედობა. გარდა ამისა, **თანადაფინანსების მოთხოვნა,** რაც, რესპონდენტების თქმით, მცირე რესურსების მქონე ქალთა ჯგუფებისთვის ეკონომიკურ პროგრამებში მონაწილეობას გამორიცხავს.

რაოდენობრივი კვლევის თანახმად, მუნიციპალიტეტში ქალების ეკონომიკური გაძლიერების შემაფერხებელ ძირითად ფაქტორებად აღინიშნა ადგილებზე **დასაქმების ნაკლები პერსპექტივა -** 56.3%, რომელსაც ხაზი გაუსვა ქ. ზუგდიდში გამოკითხულთა 61%-მა და კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრებ ქალთა 53%-მა. მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ასევე ისეთ პასუხებზე, როგორებიცაა: **დაბალი ფინანსური შემოსავალი** - 47%, **მაღალპროცენტიანი სესხები და კრედიტები -** 47.4%, **ინფლაცია და მაღალი ფასები საკვებ პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე** - 50.4%.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქალთა დიდი ნაწილი, ადგილებზე უპერსპექტივობის გამო, **საზღვარგარეთ შრომით მიგრაციას არჩევს,** რაც დასტურდება რაოდენობრივი კვლევითაც. გამოკითხულთა 40.7%-მა მიუთითა, რომ პრობლემას წარმოადგენს **ქალთა იძულებითი მიგრაცია საზღვარგარეთ** -

„მე ვხედავ, რომ ჩემს ირგვლივაც ყველაფერი იგივე დარჩა, რაც წლების უკან იყო. არაფერი ვითარდება... ბევრი საზღვარგარეთ იხედება უკვე, რადგან აქ ვერ ხედავენ პერსპექტივას და გამოსავალს... სამწუხაროდ, უწევთ დასაქმების სხვაგან ძიება“ (ი.ე., ადგილობრივი, ქალი 43 წ., ლექტორი).

ქალთა დასაქმების ბარიერად დასახელდა **მხარდაჭერის უფასო სერვისების არასაკმარისი რაოდენობაც** (ბავშვის მოვლის/ზრუნვის გახანგრძლივებული სერვისები არარსებობა სკოლებსა და ბაღებში), რომელსაც ხაზი გაუსვა გამოკითხულ ქალთა 22.4%-მა, მათ შორის მარტოხელა (30%) და მრავალშვილიანმა დედებმა (18%) და სოციალურად დაუცველმა ქალებმა (27%).

აღსანიშნავია, რომ **ეკონომიკურ საქმიანობაში ქალების ჩართვის ხელშესაწყობად და ხელსაყრელი გარემო პირობების შესაქმნელად,** კვლევაში მონაწილე ქალებმა ყველაზე მეტად ხაზი გაუსვეს: ხელმისაწვდომი კრედიტების არსებობის საჭიროებას - 59.3%, არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე მოსახლეობის ინფორმირების გაზრდას - 58.6%; მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების დანერგვას - 49.6% (დეტალურად **იხ. დიაგრამა №9):**



დიაგრამა №9

ქალთა ჯგუფების მეტი ინფორმირების საჭიროებას არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე ასახელებს ქ.ზუგდიდში გამოკითხულთა 50% და სოფლებში გამოკითხულთა 65%.

თვისებრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა თანახმად, ეკონომიკური პროგრამების ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია **მეწარმეობრივი უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსის შეთავაზება** ბენეფიციარებისთვის და ასევე შესაბამისი **ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა,** რაც დაეხმარებათ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაში. გამოიკვეთა **სოციალური მეწარმეობის განვითარების საჭიროება,** რაც ხელს შეუწყობს არა მარტო ერთი კონკრეტული ბიზნესის განვითარებას, არამედ მოგებიდან მიღებული თანხით სხვა ბიზნესის შექმნას და მეტი ადამიანის დასაქმებას. ყურადღება გამახვილდა **ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ ორგანიზაციებთან ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლობის და მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადაფინანსების პროგრამების არსებობის მნიშვნელობაზე** -

> *„თანადაფინანსების ერთი პროგრამით დავაფინანსეთ ის ოჯახები, რომლებსაც გავუკეთეთ სახლები, მაგრამ არ ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა... ფერმერთა ასოციაციამ ასწავლა ფუტკრის მოვლა და საჩუქრად გადასცა თითო ფუტკრის ოჯახი; ასევე იგპ ასოციაციამ „თანხმობამ“ განახორციელა პატარა პროექტი და ბენეფიციარებს გადასცეს მაღალი ხარისხის საბოსტნე თესლები, ყველა ეს ღონისძიება მიმართულია საოჯახო მეურნეობის გაძლიერებისაკენ, გვაქვს კიდევ მონახაზები, რომ მეტად განვავითაროთ მცირე საოჯახო მეურნეობა“ (გ.რ., ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი).*

3.2. ჯანდაცვის მიმართულებით გამოვლენილი პრობლემები

რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა **ჯანდაცვის კუთხით არსებული პრობლემები.** დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა უმრავლესობისთვის ყველაზე პრიორიტეტულია **მედიკამენტებზე მაღალი ფასები (76.5%) და სოფლებში უფასო სამედიცინო კვლევების არარსებობა** (53.4%). ქალთა 40%-მა აღნიშნა, რომ დაბალია მოსახლეობის ცნობიერება **რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე**; 36,6% აღნიშნავს, რომ პრაქტიკულად არ არსებობს დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის მიზნობრივი ჯანდაცვის პროგრამები (დეტალურად იხილეთ **დიაგრამა №10).**



დიაგრამა №10

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების მტკიცებით, პრობლემას წარმოადგენს კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში **ამბულატორიების ინფრასტრუქტურული პრობლემები, ტექნიკური აღჭურვილობის, მედიკამენტების და ადგილებზე მედპერსონალის სიმწირე.** აღინიშნა, რომ საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია სოფელ კოკის ამბულატორია, რომელიც აუცილებელ რეაბილიტაციას საჭიროებს. სოფელ ხურჩაში პრობლემად მიიჩნევენ ახალგარემონტებულ, მაგრამ **უფუნქციოდ და უმოქმედოდ მიტოვებულ ამბულატორიას.** მოსახლეობის თქმით, მაშინ როცა სოფელში ხანდაზმულთა დიდი რაოდენობა ცხოვრობს, რომელთათვის ადგილზე სამედიცინო მომსახურებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სამწუხაროა, რომ არაერთი დაპირების მიუხედავად, დღემდე ვერ ხერხდება სოფლის ამბულატორიის სათანადო ინვენტარით აღჭურვა და შესაბამისი პერსონალით უზრუნველყოფა. ამბულატორიული სამედიცინო პუნქტის არარსებობა სამ პრიორიტეტულ საკითხთა შორის

გამოიკვეთა სოფელ კოკში (46%), ხურჩაში (45%), ორსანტიაში (34%). მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე **სოფლებში აფთიაქების არარსებობა და მედიკამენტებზე წვდომა.**

საგულისხმოა, რომ კონფლიქტის გამყოფი ზოლის სოფლებში **არ ხორციელდება ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის** შესახებ, მათ შორის **ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ ცნობიერების ამაღლების ინიციატივები** და საკმაოდ დაბალია დევნილ და კონფლიქტით დაზრალებულ ქალთა ინფორმირებულობა, როგორც მუნიციპალური, ასევე ცენტრალური ხელისუფლების სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შესახებ.

გამოიკვეთა **კოვიდგადატანილი მოსახლეობისთვის პოსტკოვიდური სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვის აუცილებლობა.** რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ კოვიდმა მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის ჯანმრთელობაზე მძიმე და ნეგატიური კვალი დატოვა, რაც განგრძობით მკურნალობას მოითხოვს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა -

> *„ამჟამად საჭიროა პოსტკოვიდური სარეაბილიტაციო პროგრამების ხელშეწყობა, რაც აუცილებელია მძიმედ გადატანილი კოვიდ პაციენტების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ძალიან დიდი თანხები ჯდება მკურნალობა და რეაბილიტაცია, რაც არ გააჩნია მოწყვლად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს“ (გ.მ., არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი აფხაზეთი“, ზუგდიდი).*

4. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემა და მასზე რეაგირების ადგილობრივი პროგრამები

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა დიდი ნაწილისთვის ოჯახში ძალადობა კვლავ ტაბუდადებულ და გაუმხელელ პრობლემად რჩება, რაოდენობრივმა მონაცემებმა დაადასტურა თემის აქტუალობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის.

ქალთა უმრავლესობა, კერძოდ კი 39,9% ხაზს უსვამს, რომ **ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა მათ თემში აქტუალურია.** საგულისხმოა, რომ თემის აქტუალობა თითქმის თანაბრად დაადასტურეს როგორც ქ. ზუგდიდში (57,1%), ასევე კონფლიქტის გამყოფი ზოლის სოფლებში მცხოვრებმა ქალებმა (52.3%). საკითხის უკიდურესი აქტუალობა აღნიშნა ქალთა 8.6%-მა. პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა გამოკითხულ ქალთა 34.7%-მა, რომელთა უმრავლესობა (62.3%) გამყოფი ზოლის სოფლებიდან არის. ეს, შესაძლოა, აიხსნას საკითხის სენსიტიურობით და სოფლებში არსებული ტრადიციული შეხედულებებით, პოზიციის დაფიქსირებისგან ქალების თავშეკავებულობით. თემის არაქტუალობას ხაზი გაუსვა ქალთა 16,8%-მა **(იხ. დიაგრამა №11).**



დიაგრამა №11

პრობლემის სიმწვავე დასტურდება თვისებრივი მონაცემებითაც. კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებმა ქალებმა აღნიშნეს, რომ **ძალადობა ქალების ყოველდღიურობის ნაწილია, რომელზეც არ არის მიღებული არც ხმამაღლა საუბარი და არც მისი საჯაროდ გამჟღავნება** -

> ***„ოჯახური ძალადობა გავრცელებულია სოფელში, მით უმეტეს ამ რთულ დროს, როცა ხალხმა სამსახურები დაკარგა და აგრესიით არიან სავსე... ქართველი ქალი ბოლო წუთამდე ითმენს ყველაფერს და მხოლოდ მაშინ ალაპარაკდება და დახმარებას მოუხმობს, თუ ამის იქით მეტი საშველი და ხსნა არ აქვს... მაგრამ ეს დახმარებაც არის კი საკმარისი?“ (ნ. ბ., ქალი, 65 წ., სოფ. ხურჩა).***

> ***„ჩვენ ყველაზე კარგად ვხედავთ, თუ რა მდგომარეობაა ჩვენს თემში, ვხედავ, ვინ რა მდგომარეობაში იმყოფება... და, ყველაფრის მიუხედავად, ქალები ჩუმად არიან, არავის მიმართავენ და თავს იკავებენ ძალადობის გაცხადებაზე. და ეს, უპირველესად, მენტალობის ამბავია...“ (მ.გ., ადგილობრივი ქალი, 50 წ., სსო ხელმძღვანელი, სკოლის პედაგოგი).***

აღსანიშნავია, რომ **ზუგდიდის მუნიციპალიტეტი იმ იშვიათ გამონაკლისს შორისაა, სადაც ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის და რეაგირების მრავალწლიანი და მრავალმხრივი მიდგომებია დანერგილი.** თვითმმართველობის მხარდაჭერით ფუნქციონირებს ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი, სოციალური პროგრამით გათვალისწინებულია ძალადობის მსხვერპლთათვის 800-ლარიანი ერთჯერადი დახმარება და ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა. საჭიროებისამებრ ბინის ქირის პროგრამა ხელმისაწვდომია მსხვერპლისთვის, ასევე მოძალადისთვისაც, იმ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლი და მასზე დამოკიდებული არასრულწლოვანი შვილები ოჯახში რჩებიან და აუცილებელია მოძალადის მათგან განრიდება. საგულისხმოა, რომ ადგილობრივ დონეზე ყველა სახელმწიფო პასუხისმგებელი უწყების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელთა შორის კოორდინაციის გაუმჯობესების და ინფორმაციის გაცვლის მიზნით, ზუგდიდის მერიასთან შეიქმნა საქართველოში პირველი ადგილობრივი უწყებათაშორისი კომისია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსის თქმით, მუნიციპალიტეტის აქტიური მუშაობით წლიდან წლამდე იზრდება ძალადობის მსხვერპლთა მხრიდან მომართვიანობაც და თვითმმართველობის მხრიდან გაწეული დახმარების ფაქტებიც -

> ***„როცა ჩვენ შევქმენით ძალადობის შესახებ პირველი პროგრამა 2015 წელს, გვქონდა ძალადობის ფაქტზე მომართვიანობის მხოლოდ 3 შემთხვევა, 2016 წელს - 2, 2017 წელს - 3... მაგრამ როდესაც გაიზარდა ინფორმირებულობა და ქალებმაც დაიწყეს ამაზე ლაპარაკი, 2018 წელს მომართვიანობა გაიზარდა 38-მდე, 2019 წელს იყო 46. 2020 წელს შემოვიდა 25 განცხადება, რაც რეალურად მეტი იქნებოდა, უბრალოდ ამ შემთხვევაში ბენეფიციართა რაოდენობა განაწილდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მართულ ძალადობის მსხვერპლთა ცენტრსა და თვითმმართველობას შორის“.***

მიუხედავად იმისა, რომ ნათელია წლების განმავლობაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე რეაგირების მიზნით ინსტიტუციური მექანიზმის შექმნის და მუნიციპალური სერვისების დანერგვის მიმართულებით გადადგმული პროგრესული ნაბიჯები, რაოდენობრივი კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა (34,7%) თვლის, რომ **აუცილებელია პროგრამების გამრავალფეროვნება და ძალადობის მსხვერპლის სპეციფიკურ საჭიროებაზე მორგება.** გამოკითხულ ქალთა 27,6% მიიჩნევს, რომ **თვითმმართველობის მიერ ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისთვის დანერგილი პროგრამები არასაკმარისია.** გამოკითხულ ქალთა 23,5% არ ფლობს ინფორმაციას ადგილობრივი პროგრამების შესახებ, რაც უმეტესწილად აღინიშნა კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრები ქალების მიერ (80,7%). მხოლოდ 14,2%-მა მიუთითა, რომ **ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამები საკმარისია**. თვისებრივი კვლევის თანახმად, ქალთა დიდი ნაწილი არ ფლობს **ინფორმაციას იმ სამართლებრივ მექანიზმებსა და სერვისებზე, რომელთაც ძალადობის მსხვერპლ ქალებს სთავაზობს სახელმწიფო.** რესპონდენტების აზრით, აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდა მსხვერპლთა არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციული კამპანიის გამართვის მიმართულებით -

> ***„ხშირ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლებს არა აქვთ ინფორმაცია, რომ არის დახმარებები და შეღავათები... არ იციან, რომ არსებობს თავშესაფრები, სადაც შეიძლება იზოლირებულად და უსაფრთხოდ იყვნენ... საჭიროა მეტი ინფორმირებულობა“ (ი.ჯ., ქალი, 60 წ., ადგილობრივი, ქ. ზუგდიდი).***

თვისებრივი კვლევის დროს მკაფიოდ გამოიკვეთა მსხვერპლთა არსებული მხარდაჭერის პროგრამების გამრავალფეროვნების და მსხვერპლის გრძელვადიანი დახმარების სერვისების დანერგვის საჭიროება. რესპონდენტთა აზრით, **ერთჯერადი დახმარებები არ იძლევა გრძელვადიან პერსპექტივაში მსხვერპლისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობას**. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მსხვერპლთა დასაქმების მიზნით, როგორც შესაბამისი პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება, ასევე მათი დასაქმების ხელშეწყობაც -

> ***„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფრო მეტს მოვთხოვდი, რადგან ვთვლი, რომ საკმარისი არ არის მარტო ფიზიკური გადარჩენისთვის დავეხმაროთ ადამიანებს... ძალადობის მსხვერპლთათვის 800-ლარიანი ერთჯერადი დახმარება არსებობს და შეიძლება ადამიანს ფინანსურ დახმარებაზე უფრო მეტად სჭირდება სხვა ტიპის დახმარება... ერთჯერადი 800 ლარი ამ ტიპის ადამიანებისთვის არაფერს არ ნიშნავს და, სასურველია, მუნიციპალიტეტმა ღირსეული დახმარება გაუწიოს თუნდაც დასაქმების მიმართულებით, რომ მათ პროფესიული გადამზადება მიიღონ და დასაქმდნენ... ეს მარტო არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა კი არ უნდა აიღონ თავის თავზე, არამედ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უნდა გამოყონ რესურსები, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალებს მისცენ ღირსეულად ცხოვრების გაგრძელების საშუალება“ (თ.ქ., დევნილი, 34 წ., ქ. ზუგდიდი).***

„ისევ დასაქმებასთან მივდივართ... ძალიან ბევრი ქალი ამიტომ იტანს ძალადობას, რომ წასასვლელი არსად აქვს, თანხა არა აქვს, სამსახური არა აქვს, აქეთ ორი-სამი ბავშვი ჰყავს, სად წაიყვანოს, რა აჭამოს?! ურტყამენ და მაინც რჩება სახლში... ამიტომ ეკონომიკური სიტუაცია უნდა გაუმჯობესდეს ძალადობის მსხვერპლი ქალების“ (მ.გ., ადგილობრივი ქალი, 50 წ., სსო ხელმძღვანელი, სკოლის პედაგოგი).

აღინიშნა, რომ მსხვერპლ ქალთა გრძელვადიანი **ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების არარსებობის** გამო **ქალთა ნაწილი იძულებულია, დაუბრუნდეს მოძალადე ქმარს და ცხოვრება ძალადობრივ გარემოში განაგრძოს** -

„დასაქმების კუთხით რომ ყოფილიყო ხელშეწყობა, უკეთესი იქნებოდა... მოკლევადიან პერსპექტივაში შეიძლება იყოს ქალი დამაკმაყოფილებელი, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში არაფერს გვაძლევს... ის ისევ დამოკიდებული რჩება და ძალიან ბევრი ისევ უბრუნდება მოძალადეს და ოჯახს, იმიტომ რომ არა აქვს რჩენის უნარი და ბავშვებს ხომ შიმშილით ვერ დავხოცავ“ (ე.ძ., ადგილობრივი, ძალადობის მსხვერპლი, 41 წ., მრავალშვილიანი დედა).

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და პრევენციის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, რესპონდენტები აღნიშნავდნენ **მოძალადეებთან ძალადობის ადრეულ ეტაპზე მუშაობის გაძლიერების საჭიროებას**, შესაბამისი **ქცევის კორექციის მუნიციპალური პროგრამების დანერგვის** და ამოქმედების გზით -

„ჩემი აზრით, ადგილობრივი პროგრამები საკმარისი არ არის, რადგან უფრო მეტად აქცენტი გადატანილია მსხვერპლზე, თუმცა არანაკლები სამუშაოა საჭირო მოძალადესთან. დღეს მოძალადეებთან უფრო ნაკლები მუშაობა მიდის და ამის გამოა რომ სიტუაცია უფრო მეტად მძაფრდება“ (მ.გ., ადგილობრივი ქალი, 50 წ., სსო ხელმძღვანელი, სკოლის პედაგოგი).

თვისებრივი კვლევის მონაწილეთა მხრიდან ასევე გამოიკვეთა მუნიციპალური სერვისების მიწოდებისას მაღალი ეთიკური სტანდარტების დაცვის აუცილებლობა, განსაკუთრებით, როცა საკითხი ძალადობის მსხვერპლ ქალებს ეხება. გამოითქვა წუხილი იმაზე, რომ თვითმმართველობის ცალკეული წარმომადგენლის მხრიდან შეინიშნება **ქალთა მიმართ ძალადობის საკითხისადმი ირონიული და არასერიოზული დამოკიდებულება და ბენეფიციართა „ქეისებზე“ კონფიდენციალობის დარღვევის ფაქტები**, რაც ძალადობის მსხვერპლისთვის ხშირად მიმართვიანობისგან თავის შეკავების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენს. რესპონდენტების აზრით, ძალადობის მსხვერპლთა საკითხზე შექმნილი კომისია უნდა იყოს დაკომპლექტებული მაქსიმალურად დამოუკიდებელი, საკითხში გათვითცნობიერებული პროფესიონალი ხალხისგან და არა თვითმმართველობის და სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლისგან -

„ჩვენ გვქონია კვლევები, სადაც ბენეფიციარმა აღნიშნა, რომ დახმარების სათხოვნელად მერიაში მისულს დაერღვა კონფიდენციალობა... მან აღნიშნა, რომ ზუგდიდი პატარა ქალაქია და მისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ქალაქში, ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ადამიანი პირველად მიდის დასახმარებლად, დამხვედრი ადამიანი იყოს სენსიტიური, კორექტული და მიმღები იმ პრობლემისა, რაც ადამიანს აწუხებს... ამ მხრივ ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო“ (ნ.თ., არასამთავრობო ორგანიზაცია - ასოციაცია „მერკური“).

„ბევრი ქალი, თუნდაც იმიტომ არ მიმართავს დახმარებისთვის ადგილობრივ მერიას, საკრებულოს, რომ შესაძლებელია ეს ინფორმაცია გახდეს საჯარო, თუნდაც ეს არ იყოს ღირსების შემლახავი ინფორმაცია, მაგრამ კონფიდენციალურია... კონფლიქტი და ძალადობა თუ რა თემაზე მოხდა, არ მინდა ვიღაცამ გაიგოს... არ მინდა, რომ რაღაც 800-ლარიანი დახმარება მივიღო და ეს შეიძლება მთელი ცხოვრების ფასად დამიჯდეს. გაქვს დამცავი და შემაკავებელი ორდერი, რა საჭიროა საკითხის შემდგომი განხილვა და გასაჯაროება... მერე ის ადამიანი ამბავს არჩევს, ქუჩაშიც კი იციან და გესმის - „აი ეს გოგოა ის და ეს“. კომისია უნდა იყოს დაკომპლექტებული არა პარტიის წარმომადგენლებისგან, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე პროფესიონალებისგან“ (თ.ქ., დევნილი, 34 წ., ქ. ზუგდიდი).

4.1. ახალგაზრდების პრიორიტეტები

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების მიერ გამოიხატა პოზიცია, რომ მუნიციპალიტეტის პოლიტიკა არ არის მორგებული ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებზე და არ აისახება მათი განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზე.

რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს **ახალგაზრდების მიერ ინიცირებული იდეების მეტი მხარდაჭერის საჭიროებასა** და უკვე წამოწყებული ინიციატივების თანადაფინანსების შესაძლებლობების შექმნაზე. გამოითქვა აზრი, რომ მნიშვნელოვანია ახალგაზრდების **განვითარების და ლიდერული თვისებების გაძლიერების მუნიციპალური პროგრამების დანერგვა**, რაც ახალგაზრდების ახალი რესურსის შექმნას შეუწყობდა ხელს -

„თუ თვეში ზუგდიდში 10 შეხვედრა ტარდება, 5-7 შეხვედრაზე ერთმანეთს ვემთხვევით ერთი და იგივე ხალხი და რა არის ეს? აი, ბირთვი, რომელიც შეკრულია, ყოველთვის დადის შეხვედრებზე და ყოველთვის ჩართულია. და ის არ იცვლება, შემოდინება არ არის ახალი ნაკადის. ახალგაზრდას ძალიან ბევრი რაღაც შეუძლია, ახალგაზრდა ინოვაციურად აზროვნებს და უნდა მოეწყოს გარემო, რომელიც ჩვენზე ანუ ახალგაზრდებზე მორგებული იქნება და განვითარების და ჩვენი პოტენციალის ქვეყნისთვის გამოყენების საშუალებას მოგვცემს“ (რ.მ., იგპ კაცი, 21 წ., სტუდენტი).

ახალგაზრდების მხრიდან ხაზი გაესვა განსაკუთრებით გამყოფი ზოლის სოფლებში **ახალგაზრდული სივრცეების არარსებობას,** სადაც მათ შეკრების, თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების ან არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა ექნებათ. რესპონდენტებმა სოფლებში ბიბლიოთეკების სავალალო ინფრასტრუქტურაზე და მათი განვითარების მნიშვნელობაზეც გაამახვილეს ყურადღება. ასევე გამოითქვა აზრი, რომ სწორედ ბიბლიოთეკები უნდა იქცნენ ახალგაზრდების შეკრების და განვითარების სივრცეებად, ხოლო მათში მომუშავე პერსონალი ახალგაზრდების განვითარების ფუნქციით უნდა დაიტვირთონ -

> *„სივრცეები არ არსებობს სოფლებში, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან. კი, შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ სკოლაში რატომ არ იკრიბებიანო, მაგრამ სკოლაში ვერასდროს იქნება ის ბავშვი იმდენად თავისუფალი, რამდენადაც არაფორმალურ გარემოში. არაფორმალური გარემოს ფუნქცია შეუძლია ძალიან კარგად შეასრულოს ბიბლიოთეკამ, მაგრამ აქ კიდევ ვაწყდებით უფრო დიდ პრობლემას, რომ სასოფლო ბიბლიოთეკები არის კატასტროფულ მდგომარეობაში. შესაბამისად, აქაც ვერ ახერხებენ შეკრებას და რომც შეიკრიბონ, ბიბლიოთეკარები იმდენად რთული თემაა, ჩევნთან ყოველ შეემთხვევაში, რომ მათ არ აქვთ ის უნარები, რაც ახალგაზრდისთვის სტიმულის მისაცემად არის საჭირო, დღეს ბიბლიოთეკარმა სამწუხაროდ, მიიღო წიგნის დარაჯის ფუნქცია, მაშინ როდესაც მას შეუძლია ჰქონდეს ძალიან დიდი ფუნქცია“ (ი.ჯ., ადგილობრივი, კაცი, 27 წ., ახალგაზრდული მუშაკი).*

ქალებთან საუბრისას ხაზი გაესვა დევნილთა დასახლებებში და გამყოფი ზოლის სოფლებში ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის **ღია სპორტული მოედნების მოწყობის, სოფლებში კულტურის ცენტრების ან ხელოვნების მრავალპროფილური წრეების ფუნქციონირების საჭიროებას**.

4.2. შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სპეციფიკური პრობლემები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ შშმ პირები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის განსაზღვრისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რაც მეტწილად დაკავშირებულია გარემოსთან წვდომის სირთულეებთან. დაწესებულებათა უმრავლესობა, მათ შორის, საკრებულოსა და მერიის და არასამთავრობო ორგანიზაციების შენობები არ არის ადაპტირებული გადაადგილებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ შენობებს გააჩნია გარე პანდუსი, გადაადგილება შეზღუდულია შენობის შიგნით -

„არასამთავრობო ორგანიზაციები,ძირითადად, იჯარით აღებულ ფართში არიან, ხან მეორე ან მესამე სართულზე. დავუშვათ, საინფორმაციო ხასიათის თავშეყრის ღონისძიებებს როგორ დაესწრებიან შშმ პირები, რომელთაც გადაადგილება უჭირთ? ადგილობრივი თვითმმართველობაც არ ზრუნავს პანდუსებზე და ინფრასტრუქტურაზე, იმისთვის, რომ შშმ პირები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ მაღალ სართულებზე და მონაწილეობას იღებდნენ შეხვედრებში... ეს უნდა იყოს ნომერ პირველი საკითხი“ (ი.ხ., ადგილობრივი, ქალი, 64 წ., ასოციაცია „ბჟალარა“, ქ. ზუგდიდი).

შშმ პირთა გარემოსთან ხელმისაწვდომობაში, ძირითადად, იგულისხმება პანდუსები და ლიფტით აღჭურვილი შენობები, თუმცა უსინათლო, სმენადაქვეითებული და სხვა ტიპის შეზღუდვის მქონე ადამიანები საერთოდ არ მოიაზრებიან საჭიროებების გათვალისწინებისა და პოლიტიკის განსაზღვრისას. შშმ პირებს ასევე ეხებათ მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის და გადაადგილების პრობლემა არა მხოლოდ ქალაქის შიგნით, არამედ სოფლებში, რადგან მუნიციპალური ტრანსპორტი არ არის ადაპტირებული შშმ პირთა გადაადგილებისთვის. შესაბამისად, ფიზიკურ გარემოზე წვდომის შეზღუდვა, ხილული თუ უხილავი ბარიერები შშმ პირს აიძულებს, დარჩეს სახლში და უარი თქვას საზოგადოებრივ აქტიურობასა და ჩართულობაზე -

„მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მთავრობის დადგენილება შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად, ყველანი ვხედავთ, რომ ეს არ არის ყველგან. საჭიროა კიდევ მეტი და მეტი მოთხოვნა ალბათ, რომ შენობები და ინფრასტრუქტურა იყოს ადაპტირებული და მორგებული შშმ პირებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია“ (ი.ჯ., 60 წ., ადგილობრივი, ქ. ზუგდიდი).

მუნიციპალიტეტებში შშმ პირთა მხარდაჭერის არსებული პროგრამები ითვალისწინებს სარეაბილიტაციო მკურნალობის და კომუნალური ხარჯების თანადაფინანსებას, ასევე დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ჩართული შშმ ბავშვების და მათ თანმხლებ პირთა სატრანსპორტო ხარჯების უზრუნველყოფას, მუდმივი ზრუნვის საჭიროების მქონე მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე პირებისთვის მომვლელის პროგრამის შეთავაზებას, 18 წლამდე ასაკის შშმ და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვებისთვის ერთჯერად ფულად დახმარებას, შშმ და სოციალურად დაუცველი სპორტსმენების ერთჯერადი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფას. მიუხედავად არსებული პროგრამებისა, რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანია მეტი პროგრამა და ინიციატივა საზოგადოებაში შშმ პირთა ინტეგრაციისა და ჩართულობისთვის -

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ეტლით მოსარგებლე იქნება თუ მწოლიარე თუ ზოგადად ამ სტატუსის მქონე ადამიანებისთვის, რა თქმა უნდა, ჩვენს მუნიციპალიტეტში არის პროგრამები და ქვეპროგრამები, სადაც ისინი არიან ჩართულები, ეს იქნება ერთჯერადი დახმარება, სხვადასხვა შეხვედრაზე ჩართულობა, მათი ოჯახების მხარდაჭერა. თუმცა, ეს არ არის საკმარისი... სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ გამონახოს გზები, რათა მოხდეს ამ ხალხის ინტეგრირება, რათა მათ სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ თავი“ (ი.კ., ქალი, 49 წ., დევნილი, კოკი, თვითმმართველობის წარმომადგენელი).

4.3. მუნიციპალურ პროგრამებში დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა საჭიროებების და პრიორიტეტების ინტეგრირების პრობლემა

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ **მუნიციპალიტეტის პროგრამები და არსებული სერვისები უმეტესწილად მორგებულია მოსახლეობის ზოგად საჭიროებებს და საკმაოდ მწირია ისეთი პროგრამები თუ ინიციატივები, რომლებიც მიმართულია კონკრეტულად დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების სპეციფიკური საჭიროებებისკენ.** დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ. სწორედ მათი მეშვეობით ხდება პრობლემური საკითხების ადვოკატირება მუნიციპალიტეტებთან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 წლიდან საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში, მათ შორის ზუგდიდში, პილოტური პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაციის პროცესი[2], რომლის მიზანი იყო თვითმმართველ ორგანოებსა და დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა შორის დიალოგის და თანამშრომლობის გაუმჯობესება და მათი აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში მათი პრიორიტეტებისა და საჭიროებების ასახვის მიზნით.

ადგილობრივი ხელისუფლების თანახმად, პილოტური პროექტის შედეგად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემუშავდა და დამტკიცდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 განხორციელების ადგილობრივი სამოქმედო გეგმა და დაინერგა დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა მხარდაჭერის არაერთი პროგრამა -

> ***„აღვნიშნავ, რომ კონფლიქტის გამყოფ ზოლთან მდებარე 9 სოფელში სამიზნე ჯგუფებისთვის მიზნობრივი პროგრამები დაინერგა. მათ შორის - ეკონომიკური პროექტი „ქალთა სივრცე“. მის ფარგლებში 6000 ლარით დაფინანსდნენ ქალები, სოფელ ხურჩაში გაიმართა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირება, „სახლების“ პროექტის ფარგლებში გამყოფი ზოლის სოფლებში აშენდა 29 სახლი, ზამთრის პერიოდში ცხრავე სოფელში ხორციელდება ხანდაზმულთა დახმარება 83 ოჯახში, ფერმერი ქალების კავშირის მიერ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით გადამზადდა ამავე სოფლის 29 ქალი“ (გ.რ., ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი).***

---

2 პროექტი განხორციელდა 2019 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კოალიციის - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ და კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ - მიერ, საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში - დუშეთი, გორი, ქარელი, კასპი, ხაშური, საჩხერე, სტეფანწმინდა, წალენჯიხა, წყალტუბო და ზუგდიდი.

მიუხედავად განხორციელებული საქმიანობისა, გამოკითხულ ქალთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ადგილობრივ პროგრამებში **არასაკმარისად არის ინტეგრირებული დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების და გოგონების სპეციფიკური საჭიროებები** - 36,6%. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა 36,2%-ს, რაც, შესაძლოა, გამოწვეულია, პროგრამებზე ქალთა არასაკმარისი ინფორმირებულობით. იმას, რომ ადგილობრივ პროგრამებში დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა საჭიროებები, ძირითადად, გათვალისწინებულია, ფიქრობს გამოკითხულ ქალთა 18%, ხოლო 9,3%-ის აზრით, საჭიროებები ადგილობრივ პროგრამებში გათვალისწინებული არ არის **(იხ. დიაგრამა №12).**



დიაგრამა №12

რესპონდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილთა სპეციფიკური პრობლემები:

- ამორტიზებული და ავარიული შენობებიდან დევნილების დაგვიანებული განსახლება;
- დევნილთა დასახლების ცენტრებში სავალალო სანიტარული და ჰიგიენური პირობები, რაც განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ქალთა, ბავშვთა და ხანდაზმულთა ჯანმრთელობაზე;
- დევნილთა განსახლების ახალ ადგილებში მოსახლეობისთვის საარსებო წყაროებსა და დასაქმებაზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობა;

- წლების განმავლობაში დევნილთა სარგებლობაში არსებული მიწების დაკანონების და საკუთრებაში გადაცემის პროცესის გაჭიანურება;
- ინტერნეტისადმი შეზღუდული წვდომა;
- ტრანსპორტის და წყალმომარაგების პრობლემები;
- ჯანდაცვის სერვისებზე შეზღუდული წვდომა, მათ შორის სოფლებში ამბულატორიების, აფთიაქების არარსებობა;
- დევნილთა განგრძობითი ტრავმატიზაციის აღმოფხვრის მიზნით, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამების საჭიროება.

დევნილთა აზრით, მნიშვნელოვანია **მუნიციპალიტეტებმა მეტი პასუხისმგებლობა აიღონ დევნილი მოსახლეობის პრობლემებზე რეაგირების მხრივ.** აღინიშნა, რომ სასურველია მოხდეს ცენტრალური ხელისუფლებისგან მუნიციპალტეტზე უფლებამოსილების მეტი დელიგირება, რათა ის აღიჭურვოს დევნილთა პრობლემებზე რეაგირებისთვის პრეროგატივით და შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც, გამოკითხულთა აზრით, ხელს შეუწყობდა ადგილებზე პრობლემების უფრო ეფექტიან და დროულ გადაწყვეტას. უკმაყოფილება გამოითქვა, აფხაზეთის ლიგიტიმური მთავრობის მისამართით, რომის მუშაობას დევნილთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათ წინაშე არსებული პრობლემების გადასაწყვეტად რესპონდენტებიუარყოფითად აფასებენ -

> ***„კოვიდის დროს ძალიან სჭირდებოდა დევნილ მოსახლეობას დახმარება, მაგრამ აფხაზეთის მთავრობა დიდად არ შეწუხებულა, ამიტომ, ჩემი პირადი აზრია, რომ აფხაზეთის მთავრობა არ უნდა წყვეტდეს დევნილთა საკითხებს.... ადგილობრივ მერიას ეკუთვნის ადგილობრივები, ჩვენც იგივე მოსახლეობა ვართ, აქ ვართ უკვე ამდენი წელია და, შესაბამისად, მერიასაც უნდა ჰქონდეს ის პრეროგატივა, რომ ჩვენზეც იზრუნოს და არ შევრჩეთ მარტო იმ აფხაზეთის მთავრობას“ (მ.ჭ., იგპ ქალი, 31 წ., არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).***

5. მოწყვლად ჯგუფებზე ადგილობრივი პროგრამების ზეგავლენა

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ქალთა **34.3%** მიიჩნევს, რომ **ადგილობრივი პროგრამები ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს. საპირისპიროდ ფიქრობს** გამოკითხულთა **24.3%**. რესპონდენტთა უმრავლესობა **(41.4%)** თვლის, რომ **არ არის დანერგილი მოწყვლადი მოსახლეობის, როგორც სპეციფიკური საჭიროებების კვლევის, ასევე პროგრამებით მათი კმაყოფილების შეფასების პრაქტიკა.** საგულისხმოა, რომ სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსის მიხედვით, იმას, რომ „პროგრამები არ ასახავენ ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს“, აღნიშნავს მარტოხელა დედების 27%, სოციალურად დაუცველი ქალების 24% და მრავალშვილიანი დედების 6%.

თვისებრივ კვლევაში ჩართული რესპონდენტების უმრავლესობამ ხაზი გაუსვა **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თვალსაჩინოდ გაუმჯობესებულ პრაქტიკას**, როგორც მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის ჩატარების, ასევე ამ კვლევებზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავების თვალსაზრისით -

> ***„ძალიან კარგად მუშაობენ... არა ისე, რომ ოთახში შეიმუშავეს პროგრამა და მიაწოდეს ვიღაცას, არამედ ჯერ გავიდნენ მოსახლეობაში, შეისწავლეს, მიიღეს ინფორმაცია და მერე პროგრამა შექმნეს და მოარგეს ბენეფიციარებს, რომ ის ყოფილიყო მათთვის სასარგებლო. ბოლო წლების განმავლობაში ეს პროგრამები შეივსო, გამრავალფეროვნდა და დღეს-დღეობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, თამამად შეიძლება ითქვას, აქვს ერთ-ერთი საუკეთესო მიწოდების სერვისი და სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთან ურთიერთობის დიდი პრაქტიკა“ (ი.ჯ., ადგილობრივი, კაცი, 27 წ., ახალგაზრდული მუშაკი).***

თუმცა, მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა ცალკეული ჯგუფების პრიორიტეტების და საჭიროებების არასაკმარისი ინტეგრირება მუნიციპალურ პროგრამებში, მათ შორის არიან: **დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალები, ძალადობის მსხვერპლი ქალები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები, სკოლის მოსწავლეები, ახალგაზრდები და შშმ პირები.**

კითხვაზე, თუ **რა გავლენას ახდენს მუნიციპალური პროგრამები მოსახლეობის ცხოვრებაზე,** უმრავლესობა **(64%)** მიიჩნევს, რომ არსებულ პროგრამებს აქვს **ხანმოკლე ეფექტი/არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას მათ ცხოვრებაზე. 23.5%-ის** მტკიცებით, **„მიღებულმა მომსახურებამ გააუმჯობესა მათი მდგომარეობა“**, ხოლო 4%-მა აღნიშნა, რომ პროგრამები **არავითარ ეფექტს არ იძლევა.** თვისებრივი კვლევის მონაცემებიც ცხადყოფს მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებისკენ მიმართული გრძელვადიანი პროგრამების გატარების აუცილებლობას. უმრავლესობის აზრით, ერთჯერადი დახმარებები მხოლოდ მოკლევადიან ეფექტს იძლევა და ვერ უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების ეფექტიან გადაწყვეტას.

6. ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობა და ჩართულობა

კვლევის მონაცემებმა ცხადყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან მოქალაქეთა კომუნიკაციის და ჩართულობის დაბალი ხარისხი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამოკითხულთა უმრავლესობას (36,3%) არასდროს გამოუყენებია მოქალაქეთა ჩართულობის არცერთი ფორმა. მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით განსაზღვრულ ფორმათაგან ყველაზე აქტიურად იყენებენ **დასახლების საერთო კრებებს**. დასახლების კრებებში მონაწილეობა მიუღია გამოკითხულთა უმეტესობას - 42.7%-ს. მონაწილეობის დანარჩენ ფორმას მოსახლეობა პრაქტიკულად არ მიმართავს **(იხ. დიაგრამა №13).**

დიაგრამა №13

თვისებრივი კვლევით გამოიკვეთა, რომ ჩართულობის ამა თუ იმ ფორმის გამოყენებას ხელს უწყობს მოსახლეობასთან წინასწარი მუშაობა, მობილიზაცია და მონაწილეობის ფორმების პოპულარიზაციის მიმართულებით ჩატარებული კამპანიები. რესპონდენტები ასევე მიუთითებდნენ **არასამთავრობო ორგანიზაციების როლსა და მნიშვნელობაზე თვითმმართველობებთან კომუნიკაციისას**. აღინიშნა, რომ არასამთავრობო სექტორის ჩართულობა შეხვედრებზე აძლიერებს ადგილობრივი ჩინოვნიკების ანგარიშვალდებულებას და მოსახლეობის პრობლემებზე უკუკავშირს -

„მგონია, რომ ძალიან დიდი როლი აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებს... თანამდებობის პირები, მერი იქნება ეს თუ მოადგილე, არ აქვს მნიშვნელობა, ძალიან ფრთხილად არიან არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში და მათთან შეხვედრის დროს, რაც გაჟღერდება, შემდგომ უფრო კეთდება“ (მ.გ., ადგილობრივი ქალი, 50 წ., სსო ხელმძღვანელი, სკოლის პედაგოგი).

საკითხთა შორის, რომელთა გადასაწყვეტად ყველაზე ხშირად მიმართავს მოსახლეობა თვითმმართველობის წარმომადგენლებს, აღმოჩნდა ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ოპერაციის ან მედიკამენტების დაფინანსების თხოვნები (42,2%), სოციალურ დახმარებასთან (41.4%) და მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები (38.8%) **(იხ. დიაგრამა №14).**



დიაგრამა №14

7. დასკვნა და რეკომენდაციები

საჭიროებათა კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ საკმაოდ **სუსტია დევნილ და კონ-ფლიქტით დაზარალებულ ქალთა ინფორმირების დონე** ადგილობრივი პროგრამების შესახებ, რაც მეტწილად განპირობებულია თვითმმართველობის წარმომადგენლების მხრიდან მოსახლეობასთან არასაკმარისი შეხვედრებით და კომუნიკაციით და ელექ-ტრონულად ხელმისაწვდომი სერვისებისადმი შეზღუდული წვდომით. ზუგდიდის მუნი-ციპალიტეტის კონფლიქტის გამყოფ ზოლში მდებარე სოფლებში ინტერნეტით სუსტი დაფარვა, ინტერნეტის საფასურის სიძვირე, ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, სმარტფონი) მოსახლეობის წვდომის პრობლემა და ტექნოლოგიების გამოყენების არა-საკმარისი უნარ-ჩვევები მნიშვნელოვნად აფერხებს პროგრამების და სერვისების შე-სახებ ინფორმაციის გავრცელებას.

მოწყვლადობის სპეციფიკური ჯგუფების (დევნილების, ახალგაზრდების, ძალადობის მსხვერპლი ქალების, შშმ პირების) **საჭიროებათა კვლევის და მოსახლეობასთან კონსულ-ტაციების გამართვის არასაკმარისი პრაქტიკა** აფერხებს ეფექტიანი და მოქალაქეების სპეციფიკურ საჭიროებაზე მორგებული სერვისების დანერგვას.

საკმაოდ სუსტია **მუნიციპალიტეტის საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების პრო-ცესში მოსახლეობის ჩართულობა** და კანონით გათვალისწინებული მონაწილეობის არსე-ბული ფორმების გამოყენებაც.

გამოიკვეთა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებისკენ მიმართული გრძელვადიანი პროგრა-მების აუცილებლობა და თვითმმართველობების მხრიდან ხშირ შემთხვევაში შეთავაზებუ-ლი ერთჯერადი დახმარებების საკმაოდ მცირე და მოკლევადიანი ეფექტი მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

კვლევაში გამოკვეთილი გამოწვევების საპასუხოდ რეკომენდებულია გარკვეული მოქმე-დებების განხორციელება.

რეკომენდაციები

პოლიტიკური პარტიების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

- ქალების ეკონომიკური გაძლიერების და დასაქმებისადმი ხელმისაწვდომობის მიზნით მეწარმეობის და ბიზნეს პროექტების მართვის უნარ-ჩვევების განსავითარებელი ტრე-ნინგების და ბიზნესის განვითარების საგრანტო პროგრამების შეთავაზება;

- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შემუშავებისას, განსაკუთრებული ყურადღების დათმობა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე და იმ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უშლის ქალების მონაწილეობას ეკონომიკურ პროექტებში;
- დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის შეღავათიანი ბიზნეს გარემოს შექმნა (გადასახადებისგან განთავისუფლება, სოციალური სტატუსის შენარჩუნება, თანადაფინანსების, მიწის მესაკუთრეობის მოთხოვნის, ასაკობრივი შეზღუდვების გაუქმება);
- ეკონომიკური პროგრამების შესახებ ქალთა ინფორმირების და პროექტების ჩართვაში მათი დაინტერესების მიზნით, მუნიციპალიტეტში შესაბამისი საკონსულტაციო სერვისცენტრების დანერგვა, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო თუ ადგილობრივი ეკონომიკური პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, კონკურსის პირობების დეტალური, საგულდაგულო ახსნა და განაცხადის შევსებაში პრაქტიკული დახმარების გაწევა;
- ქალთა დასაქმების სტიმულირებისთვის ბავშვთა მოვლის შესაბამისი სერვისების შექმნა და არსებულის განვითარება (ბავშვის მოვლის დღის და საღამოს ცენტრების განვითარება, ბაღებსა და სკოლებში გახანგრძლივებული და საზაფხულო ჯგუფების გახსნა);
- დევნილთა თემებში სოციალური მეწარმეობის, კოოპერატივების და ბიზნეს ინკუბატორების წახალისება და მხარდაჭერა და ამ საქმეში მუნიციპალიტეტის როლის ამაღლება.

ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა

- კონფლიქტის გამყოფი ზოლის სოფლებში არსებული ამბულატორიების ინფრასტრუქტურული, ტექნიკური და ადამიანური რესურსების საჭიროებების შეფასება და მათი შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
- რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება; დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა უზრუნველყოფა ინფორმაციით ოჯახის დაგეგმვის სერვისებისა და კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ; დაუბრკოლებელი წვდომა სერვისებისადმი, რაც ასევე გულისხმობს ექიმების, განსაკუთრებით სოფლის ამბულატორიებში მოქმედი პერსონალის, გადამზადებას და მათი მხრიდან ქალების ცნობიერების ამაღლებას;
- დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა სპეციფიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (მაღალი საფრთხის ადგილებში ცხოვრება, დევნილთა დასახლებებში მწვავე სანიტარული და ჰიგიენური პირობები და ა.შ.), ჯანმრთელობის სპეციფიკური საჭიროებების შეფასება და მათზე მორგებული სპეციალური ჯანდაცვის პროგრამების შემუშავება;
- დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა განგრძობითი ტრავმატიზაციის შედეგების შეფასება და მათთვის შესაბამისი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შეთავაზება.

ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამები

- დევნილთა დასახლებებში და კონფლიქტის გამყოფი ზოლის სოფლებში ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ღია სპორტული მოედნების მოწყობა, ხელოვნების და კულტურის მრავალპროფილური წრეების გახსნა და ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება;
- სოფლებში ახალგაზრდული სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ შეკრებისა და თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების ან/და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა;
- ახალგაზრდების იდეების და ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა შესაბამისი საგრანტო პროგრამების შეთავაზების გზით;
- ადგილობრივ თვითმმართველობებში ახალგაზრდების ჩართულობის სტიმულირება და ახალგაზრდების განვითარების პროგრამების გამრავალფეროვნება;
- ახალგაზრდა ლიდერთა სკოლების განვითარების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებით.

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და ეფექტიანი რეაგირება

- ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერის გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება მათი პროფესიული განვითარების/გადამზადების და დასაქმების კომპონენტის ჩართვით;
- ძალადობის მსხვერპლი ქალების მუნიციპალური პროგრამით დაფინანსების საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი კომისიის, პროფესიულ და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფისგან დაკომპლექტება (ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, ფსიქოლოგების, იურისტების მონაწილეობით);
- ადგილობრივი მოხელეების გენდერული ცნობიერების ამაღლება, გენდერული თანასწორობის მიმართ მათი სენსიტიურობის ზრდა, რაც, შესაბამისად, უნდა გამოიხატოს ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში გენდერული თანასწორობის საკითხების დანერგვით და იმპლემენტაციით;
- ძალადობის მსხვერპლთა პროგრამების შემუშავების პროცესში შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უშუალოდ ძალადობის მსხვერპლ ქალებთან აქტიური კონსულტაციების გამართვის უზრუნველყოფა.

შშმ პირთა ჩართულობისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა

- შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პროგრამების შემუშავება.

ზოგადი რეკომენდაციები

- დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების სპეციფიკური საჭიროებების და პრიორიტეტების ინტეგრირება ადგილობრივ პოლიტიკასა და პროექტებში;
- გენდერული ბიუჯეტის პრაქტიკულ დონეზე დანერგვა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული მიზნობრივი პროგრამების განხორციელება;
- ქალთა მონაწილეობის და ჩართულობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თემისათვის პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ყველა ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მოწყვლად ჯგუფებთან კონსულტაციებსა და თანამშრომლობაზე.

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

ანგარიშის ავტორი

ეკატერინე გამახარია

(ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი)

მონაცემთა შეგროვებაზე მუშაობდნენ:

ქალთა სამშვიდობო კოალიციის
„ქალები მშვიდობისათვის“ წევრი ორგანიზაციები
(დევნილ ქალთა ასოციაცია „იმედი“, „მეწარმე ქალთა ფონდი“,
პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“,
ასოციაცია „მერკური“, ფონდი „სოხუმი“)
და ფონდი „სოხუმის“ ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრები

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

მისამართები:
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ელფოსტა: fundsukhumitbilisi@gmail.com
womansukhumi@gmail.com;
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge
ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/fsokhumi/